

პატივცემულო კოლეგებო,

საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი, სხვა ასოციაციებსა და დაწესებულებებთან ერთად, **2022 წლის 19-25 თებერვალს** ატარებს მედიკოსთა ტრადიციულ

51-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენციას

“ბაკურიანი-2022”

სკოლა-კონფერენციის **პრეზიდენტი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - **ალექსანდრე პაპიტაშვილი**
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - **ლავროს შევარდნაძე**
საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი - **გიორგი თვალთვაძე**

სკოლა-კონფერენციაზე ჩატარდება დარგობრივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და ლექცია-სემინარები პრაქტიკოსი ექიმებისა და სტუდენტებისთვის.

ასევე დაგეგმილია ტრადიციული ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ფორუმების ორგანიზება მსოფლიოში ცნობილ ექსპერტთა მონაწილეობით.

სკოლა-კონფერენციაზე, მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია, სასურველ თემაზე, სპეციალური ცალკეული სემინარებისა, ტრენინგების და მასტერ-კლასების ჩატარება. წარმოდგენილი მოხსენებები, ძირითადად, დაფუძნებული იქნება “მტკიცებითი მედიცინის” პრინციპებზე.

ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული მონაწილე მიიღებს სათანადო სერტიფიკატს.

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობენ კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ მედიკამენტებს, ახალ სამედიცინო ტექნიკას და სამედიცინო ლიტერატურას.

მნიშვნელოვანია! მოხსენებათა სათაურების ელექტრონული ვერსია, **2022 წლის 20 იანვრამდე**, განაცხადის სახით უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: ampsmpge@hotmail.com (მომხსენებლის განაცხადის ფორმა, მონაწილის სარეგისტრაციო ფორმა და სტუდენტის განაცხადის ფორმა იხილეთ სკოლა-კონფერენციის **ფეისბუქზე** და **საიტზე**: www.medcongress.ge).

სკოლა-კონფერენციის სამეცნიერო-პრაქტიკული სესიები ჩატარდება ბაკურიანში დღეისთვის ერთად ერთ 5-ვარსკლავიან სუპერკომფორტულ სასტუმროში “**ბაკურიანი ინნ 5*** (www.bakurianiinn.ge).

სურვილის შემთხვევაში, განთავსება შესაძლებელია მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ასევე სხვა სასტუმროებში.

სკოლა-კონფერენციის სესიები გაიმართება 6 დღის განმავლობაში შემდეგნაირად:

საზეიმო გახსნა და გახსნის ლექციები -**20 თებერვალს;**
21 თებერვალს - კლინიკური ენდოკრინოლოგია; პედატრია, უროლოგია; ერთობრივი საერთაშორისო ფორუმები;
22 თებერვალს - სამედიცინო რადიოლოგია-ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა; **23 თებერვალს** - მეანობა-გინეკოლოგიის აქტუალური საკითხები; კლინიკური რეპროდუქტოლოგია; **24 თებერვალს** - კლინიკური ნევროლოგიის პრობლემები; **25 თებერვალს** - ქირურგიის აქტუალური საკითხები; შპს „კანის და ვენსნეულებათა ეროვნული ცენტრის სპეციალური სესია; სკოლა-კონფერენციის დახურვა.

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის ღირებულების სრული პაკეტი შერჩეული დღეების რაოდენობის მიხედვით და **სპეციალური დიდი ფასდაკლებით** შეადგენს:

8 დღით/7 ღამით - ორადგილიან ოთახში ორი ზრდასრული ადამიანის განთავსებისას თითო პიროვნებას გადასახდელი იქნება **1200 ლარი**.

ყურადღება! ოთახების რაოდენობა შეზღუდულია და შევსებისას დაჯავშნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ დარჩენილი ოთახების!

სტუდენტებისთვის მოქმედებს **70 ლარის** ოდენობის ფასდაკლება ნებისმიერ მათ მიერ შერჩეულ პაკეტზე. **6 წლის** ჩათვლით ბავშვების სასტუმროში განთავსება უფასოა (4-დან 6 წლის ჩათვლით - ცალკე საწოლით უზრუნველფის გარეშე). **3 წლის** ჩათვლით ბავშვებს სურვლისამებრ უფასოდ უზრუნველყოფენ მცირეგაბარტიანი საწოლით.

ინფორმაციისთვის: საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაქირავებული ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულებისა და პირობების შესახებ, მიმართეთ საორგანიზაციო კომიტეტის წევრს **ირინა რუხაძეს** ტელ. **593 73 73 20**

თანხის გადარიცხვისთვის ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

„საქართველოს ბანკი“, BAGAGE22, სალარე ანგარიშის ნომერი: GE26 BG00 0000 0344 3420 00
მიმღები – რ/კ “საქართველოს პრენტალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია”,
საიდენტიფიკაციო კოდი – 202215673

იურიდიული მისამართი- თბილისი, დმ. უზნაძის ქ. 58

გადარიცხვის შესახებ დაუყონებლივ შეატყობინეთ წინასწარი რეგისტრაციის (დაჯავშნის) სამსახურს !!

მონაწილეთა საყურადღებოდ: სკოლა-კონფერენციის მონაწილეებმა და/ან თანმხლებმა პირებმა (6 წლის ზევით ასაკის ბავშვების ჩათვლით), **2022 წლის 25 იანვრამდე**, უნდა გადაიხადონ მათ მიერ შერჩეული სასტუმროს ოთახის **დაჯავშნის ღირებულება - 500 ლარი** (ყოველ მონაწილეზე, თანმხლები პირების ჩათვლით).

ჯავშნის ღირებულების გადახდამდე, სასტუმროს ნომერი არ ითვლება დაჯავშნილად!

2022 წლის 25 იანვრიდან, სასტუმროს ნომრების (ოთახების) დაჯავშნა **აღარ იწარმოებს** და ამ შემთხვევაში საორგანიზაციო კომიტეტი სასტუმროში „**ბაკურიანი ინნ 5***“ განთავსების გარანტიას არ იძლევა. **ჯავშნისთვის გადახდილი თანხა ჩაითვლება სრული პაკეტის ღირებულებაში.**

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის თანხა (ნებისმიერი სრული პაკეტი) და ტრანსპორტის ღირებულება (თუ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ავტობუსით იმგზავრებთ) გადახდილი უნდა იყოს არაუგვიანეს **2022 წლის 5 (ხუთი) თებერვლისა.**

განხორციელებული რეგისტრაციის შემდეგ, მონაწილის მიზეზით პაკეტის გადახდის გაუქმების შემთხვევაში სასტუმროს ოთახში განთავსებისათვის **გადახდილი თანხის დაბრუნება მოხდება (საწევრო - სარეგისტრაციო გადასახადის გამოკლებით) სასტუმროს მიერ დაწესებული საჯარიმო ტარიფის მიხედვით.**

- **2022 წლის 5 თებერვლამდე** მას სრულად დაუბრუნდება გადახდილი თანხა.
- **2022 წლის 05-დან 10 თებერვლამდე** მას დაუბრუნდება პაკეტის ღირებულების 70 %.
- **2022 წლის 10-დან 15 თებერვლამდე** მას დაუბრუნდება პაკეტის ღირებულების 50 %.
- **2022 წლის 15-დან 18 თებერვლამდე** მას დაუბრუნდება პაკეტის ღირებულების 30 %.
- **2022 წლის 18 თებერვლიდან** მას აღარ დაუბრუნდება გადახდილი პაკეტის თანხა- **0 %.**

დამატებითი ინფორმაცია სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ (**მონაწილეებისა და თანმხლები პირების სხვადასხვა ვადით სასტუმროში განთავსება და პაკეტის ღირებულება**, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაქირავებული ტრანსპორტით მგზავრობა, სხვა სასტუმროებში განთავსება, მათი დაჯავშნა, ღირებულება და სხვა ნებისმიერი დეტალი) შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს **ფეისბუქზე**, ან მიმართოთ **წინასწარი რეგისტრაციის სამსახურს, MTVi Agency-ს სამდივნოს:** საორგანიზაციო კომიტეტის საინფორმაციო-სარეგისტრაციო სამსახურის დირექტორი, **MTVi Agency-ს** ხელმძღვანელი მიხეილ ხომტარია მობ.: **555 404 731;** *ყოველდღე 15.00 – 24.00 სთ.*

ელ.ფოსტა: 19miho41@gmail.com

სკოლა-კონფერენციის **ფეისბუქის** გვერდებია:

<https://www.facebook.com/profile.php?id=100004988855602>

<https://www.facebook.com/Mikho1941>

სკოლა-კონფერენციის დროს მოქმედებს ყველა კოვიდ-რეგულაცია.

დაგეგმილია გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების და ყოველდღიური საინტერესო და გასართობი ღონისძიებების მოწყობა.

სკოლა-კონფერენციასთან თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებსა და ფირმებისთვის დამატებითი ინფორმაცია მოცემულია სკოლა-კონფერენციის **ფეისბუქზე** და საიტზე www.medcongress.ge მათთვის განკუთვნილ სპეციალურ წერილში.

გთხოვთ დროულად დარეგისტრირდეთ და გადაიხადოთ სასტუმროს ჯავშანი, ასევე ხშირად და რეგულარულად ეწვიოთ ხსენებულ საიტს და ფეისბუქის ჩვენს გვერდებს, ყველა სიახლისა და შესაძლო ცვლილებების დროულად გასაცნობად.

საორგანიზაციო კომიტეტი

2022

იანვარი

S	M	T	W	T	F	S
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

აპრილი

S	M	T	W	T	F	S
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

ივლისი

S	M	T	W	T	F	S
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ოქტომბერი

S	M	T	W	T	F	S
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

თებერვალი

S	M	T	W	T	F	S
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28				

მაისი

S	M	T	W	T	F	S
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

აგვისტო

S	M	T	W	T	F	S
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ნოემბერი

S	M	T	W	T	F	S
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

მარტი

S	M	T	W	T	F	S
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ივნისი

S	M	T	W	T	F	S
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

სექტემბერი

S	M	T	W	T	F	S
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

დეკემბერი

S	M	T	W	T	F	S
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

- სასტუმროს ოთახის დაჯავშნის ბოლო დღე
- სრული პაკეტის გადახდის ბოლო დღე

ბაკურიანი 2022



ბაკურიანი

სასტუმრო „ბაკურიანი ინ“ 5*



MEDICINE OF THE NEW MILLENIUM




მედიკოსთა 51-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია

19-25 თებერვალი



ახალი ათასწლეულის მედიცინა
კოვიდ-19 დიაგნოსტიკის და მკურნალობის უახლესი მეთოდები და ტექნოლოგიები



საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი



www.medcongress.ge